ოქმი N 7

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის

კომისიის სხდომის

ქ. ხობი 2018 წლის 27 აგვისტო

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. ვლადიმერ ქანთარია
2. ნიკოლოზ ვეკუა
3. გოჩა ჯობავა
4. გენადი ქაძანაია
5. აკაკი ხურცილავა
6. როლანდ სერგია
7. გოჩა სიჭინავა
8. შადიმან ჭილაია
9. კონსტანტინე ნასარაია
10. მერაბ ნადარაია
11. კახა ლატარია
12. დავით ცინაძე

სხდომას თავმჯდომარეობდა ვ. ქანთარია - კომისიის თავმჯდომარე.

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2018 წლის 13 აგვისტოს N06/3557 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე);
(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე);

2. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2018 წლის 23 აგვისტოს N05/3683 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე);
(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე);

კენჭი ეყარა დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხებს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12, წინააღმდეგი - არც ერთი
დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2018 წლის 13 აგვისტოს N06/3557 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ვ. ქანთარია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო „ხობის მუნიციპალიტეტის ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ" განკარგულების პროექტი. ხობის მუნიციპალიტეტის ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ მომზადებული სამართლებრივი აქტი, რომლითაც ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში მგზავრთა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილების მიზნით უნდა შეიზღუდოს მძიმე წონიანი სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა და სიჩქარის შემზღუდავი საგზაო ნიშნების დამონტაჟება. ა) წმინდა ნინოს ქუჩაზე (საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიიდან ჭალადიდის ცენტრამდე) ორივე მხარეს დამონტაჟდეს საგზაო ნიშანი „ღერძზე დატვირთის შეზღუდვა" 5ტ. ძემოთ აკრძალულია. (N3.12-2 ცალი). ბ) წმინდა ნინოს ქუჩაზე (საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიიდან ჭალადიდის ცენტრამდე) ორივე მხარეს დამონტაჟდეს საგზაო ნიშანი „მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვა" 50კმ.-ზე ზემოთ აკრძალულია (N3. 24-3 ცალი) და განაცხადა, რომ სამართლებრივი აქტი შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა.

კომისიის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით წარმოდგენილი განკარგულების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12, წინააღმდეგი - არც ერთი
დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას.

2. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2018 წლის 23 აგვისტოს N05/3683 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში

არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე);
(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ვ. ქანთარია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე" და განაცხადა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის განმარტებით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული თორსა-დღვაბის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე საბავშვო ბაღის შენობის გარკვეული ნაწილი არის დაუმთავრებელი და დაუტვირთავი. თორსა-დღვაბის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული „განათლებისა და განვითარების ცენტრი „თოლისკური" ითხოვს საწარმოო დანიშნულებისთვის 42 კვ.მ. ფართის იჯარით აღებას, სადაც განახორციელებს სოფლის ახალგაზრდების დასაქმებას. ამასთან იღებს ვალდებულებას ფართის რემონტზე. სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია, სოფლის ახალგაზრდების დასაქმების და ადმინისტრაციულ ერთეულში საწარმოო პროცესის ამოქმედების თვალსაზრისით 10 წლის ვადით მოთხოვნილი ფართი პირდაპირი განკარგვის წესით გადაეცეს „განათლებისა და განვითარების ცენტრ „თოლისკურს". საიჯარო ქირა განისაზღვროს ქონების საბალანსო ღირებულების 10%-ის ოდენობით. მერია ასევე შემოდის წინადადებით არასამთავრობო ორგანიზაცია ა(ა)იპ „ხობი NEWS"-ს პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაეცეს ქალაქ ხობში ცოტნე დადიანის ქ. N185-ში მდებარე ადმინისტრაციული შენობის მე-4 სართულზე არსებული დაუტვირთავი 19,25 კვ.მ. ფართი, საოფისედ, მცირე და საშუალო მეწარმეების ინფორმირებულობის ხელშეწყობის მიზნით. სამართლებრივი საფუძველი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" საქართველოს ორგანული კანონი.

კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა.
კომისიის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით წარმოდგენილი განკარგულების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12, წინააღმდეგი - არც ერთი
დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ვ. ქანთარია ვლადიმერ ქანთარია